

ენა და ენათმეცნიერება

მეორადი ნომინაციის მეტაფორული ტიპი სომატურ იდიომებთან მიმართებით

ირმა რუსაძე

irma.rusadze1@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.10>

სტატია ეხება მეორადი ნომინაციის ერთ-ერთ სახეს როგორცაა მეტაფორული ნომინაცია და განიხილავს მას თუ როგორ ვლინდება ის სომატურ იდიომებში, რომლებსაც თავისებურ ესთეტიურ ელფერს მატებს. ზოგადად, ნომინაციას, რომელიც ენათმეცნიერებაში იყო და რჩება ერთ-ერთ მარადაქტუალურ პრობლემად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედი კანონზომიერებების გამოსავლენად. მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს იდიომის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებთან. სტატიაში საუბარია მეტაფორულ გამონათქვამებსა და სომატურ იდიომებს შორის არსებულ რთულ ურთიერთობაზე, კონკრეტულად გამახვილებულია ყურადღება მეორადი ნომინაციის მეტაფორულ ტიპზე. ინტერდისციპლინური მიდგომის მეშვეობით, რომელიც მოიცავს ენობრივ, შემეცნებით და კულტურულ პერსპექტივებს. საერთოდ, ნომინაციას ენათმეცნიერები ორი კუთხით, ორი თვალსაზრისით, განიხილავენ. განასხვავებენ ნომინაციის ორ სახეს - პირველადსა და მეორადს. მეორადი ნომინაცია სომატური იდიომების გამოვლენის ერთ-ერთ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. იგი განიხილავს პირველადის შედეგად მიღებული სიტყვისაგან თუ როგორ ხდება ახალი ელემენტების მიღება.

საკვანძო სიტყვები: მეორადი ნომინაცია, სომატური იდიომები, მეტაფორა, სემანტიკური პარალელიზმი.

ეროვნული თვითშეგნების შესწავლაში პრიორიტეტულ მიმართებას წარმოადგენს სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათის კვლევა, რადგან იგი წარმოადგენს ეთნოსის მიერ სამყაროს ხედვის კომპონენტს, ენის ფრაზეოლოგიურ შემადგენლობაში ხდება ერის მატერიალური და სულიერი კულტურის ფაქტების ფიქსირება, ამა თუ იმ სოციუმის მორალური, ეთნიკური და ესთეტიკური ორიენტაციის ასახვა. სხვადასხვა ტიპის ფრაზეოლოგიზმებს გააჩნია „მრავალგანზომილებიანი“ სტრუქტურა, რომელიც ცნებითი საფუძვლის გარდა, შეიცავს სოციო-ფსიქოკულტურულ ნაწილს, რომელიც მოიაზრება და განიცდება

ენის მატარებლის მიერ და რომელიც მოიცავს ემოციებს, შეფასებებს, ნაციონალურ სახეებსა და კონოტაციებს, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ კულტურისათვის (Maclova 2004: 236-238). თანამედროვე ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიზმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება, აგრეთვე ამ ენობრივ ერთეულებში აირეკლება ერის ეროვნული და სოციალური თავისებურებანი და ვლინდება ერის პოეტური სული. ფრაზეოლოგიზმები ხატოვანი ენობრივი საშუალებებია, რომლებიც გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ მისწრაფებებს, კულტურას.

ფრაზეოლოგიის შიგნით კლასიფიკაციაში დიდი როლი უჭირავს იდიომს, რომელიც, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ერთეული, თავისი თვისებებით ფრაზეოლოგიზმების მწვერვალს წარმოადგენს. იდიომი უფრო და უფრო იჭერს ადგილს ენის ფრაზეოლოგიაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი უმეტესწილად გამოიყენება ფრაზეოლოგიური ერთეულების განსაზღვრულ ტიპთან მიმართებაში.

თ. გამყრელიძე საფუძვლიანად განმარტავს იდიომს და აღნიშნავს, რომ: „იდიომი ანუ იდიომატური გამოთქმები ფორმით ემთხვევა თავისუფალ შესიტყვებებს მაგრამ მათი ლექსიკური სტრუქტურა, აზრობრივად გარდაქმნილია. მათთვის დამახასიათებელია ერთიანი (ბმული) მნიშვნელობა, ლექსემის მსგავსი სინთეზური ფუნქცია» (გამყრელიძე ... 2003: 376).

ტერმინი „იდიომი» მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *idioma*, რაც „თავისებურებას» ნიშნავს. ამჟამად ამ ტერმინით აღინიშნება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ტიპი – იდიომები, ხოლო სომატური იდიომების არსებობა ენაში ამ დებულების ერთ-ერთი დამადასტურებელია. სომა ბერძნული სიტყვაა, რაც ტანს, სხეულს ნიშნავს.

ცოცხალი ენა მეტად მდიდარი, მოქნილი, ფერადი და ხმოვანია. მრავალი სიტყვა და გამოთქმა კვდება, იბინდება, ისვენებს და შემდეგ ხელახლა ბრუნდება. თითოეულ იდიომში კარგად ჩანს ამა თუ იმ ერის განსაკუთრებულ ლექსიკა, ფრაზეოლოგია, გამოსახვის მხატვრული ხერხები. იდიომატიკა ლექსიკის ორგანული და ამავე დროს თავისებური ნაწილია.

სომატური იდიომები წარმოადგენენ ენის ლექსიკის მარაგის ყველაზე უფრო თვალწარმტაც, ფერადოვან და ხატოვან ნაწილს, მათ სხვადასხვა ლექსიკური დატვირთვა აქვთ ამა თუ იმ ტიპის კომუნიკაციაში, ამიტომ მათი სწორი გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან, ენის ფილოსოფია გულისხმობს, რომ ნებისმიერი ინდივიდის მიზანია გააგებინოს მეორე მხარეს და გაიგოს ნათქვამი.

ი. რუსადე

სომატური იდიომების კვლევა მჭიდროდ უკავშირდება ნომინაციის საკითხს. კერძოდ კი იმის შესწავლას, თუ ცნებები როგორ იძენენ თავიანთ სახელებს. სხვადასხვა ენა სხვადასხვანაირად აღნიშნავს, ანაწილებს და აერთიანებს საგანთა სინამდვილეს. ყოველი ენა საგანთა სინამდვილის თავისებურ კლასიფიკაციას ახდენს. ამა თუ იმ ენის მატარებელ ადამიანებს განსხვავებული მსოფლხედვა, ფსიქოლოგია და სამყაროს განსხვავებული აღქმა ახასიათებთ. სამყარო ერთია ყველასათვის, მაგრამ ხალხის მიერ ამ სამყაროს აღქმა და შემეცნება განსხვავებულია და ეს თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, ენაში აისახება, როგორც ერის შემოქმედების პროდუქტში. რადგან ენა თავისთავად ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის დაფიქსირებაა და არა მარტო დაფიქსირება, არამედ თვით ენის საშუალებით ხდება სამყაროს აღქმა, რადგან თითოეული ერი მისივე ენით აგებულ სამყაროში ცხოვრობს (Humboldt 1999: 11-17).

ნომინაციას, რომელიც ენათმეცნიერებაში იყო და რჩება ერთ-ერთ მარადაქტუალურ პრობლემად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ენის სხვადასხვა დონეზე მოქმედი კანონზომიერებების გამოსავლენად. მას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს იდიომის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებთან.

ნომინაციის ბუნებისა და თვისებების კვლევა, ე.ი. იმის შესწავლა, თუ ცნებები როგორ იძენენ თავიანთ სახელებს, აქტიურად წარმოებდა და წარმოებს ენათმეცნიერებაში.

აღნიშნული პრობლემა აქტუალურია იმიტომ, რომ კვლევის პროცესში ნათელი ეფინება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა კავშირი სიტყვასა და საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებას შორის, კავშირი სიტყვასა და ადამიანის ფსიქოლოგიას შორის. ენაში მათი დამკვიდრება და სიცოცხლისუნარიანობა მთლიანად განისაზღვრება ენის სტრუქტურით, მატერიალური სამყაროს პირობებით, ერის საერთო ფსიქოლოგიით.

ვ. გაკი ნომინაციის აქტში შემდეგ მხარეებს გამოყოფს: წყარო, გარეგნული სტრუქტურა, შინაგანი ფორმა და ნომინაციის საშუალება (Гак 1982: 71-174).

კლასიფიკაციის პირველი ჯგუფის მიხედვით ენებში დასტურდება შემდეგი შემთხვევები: მზა ერთეულის გამოყენება (სიტყვათა ხმარება მნიშვნელობებით), ახალი ლექსიკური ერთეულის შექმნა – სესხება მეორე ენიდან. მეორე ჯგუფში გარეგნული სტრუქტურის მიხედვით ნომინაციაში უნდა განვასხვავოთ მარტივი სიტყვები, წამოებული სიტყვები, რთული სიტყვები და სიტყვათა კავშირები. კლასიფიკაციის მესამე ჯგუფი განმარტავს, რომ სიტყვის შინაგან ფორმად ითვლება ის ნიშანი, რომელიც საფუძვლად დაედო ამ სიტყვის მნიშვნელობას.

კლასიფიკაციის მეოთხე ჯგუფი ითვალისწინებს სახელისა და აღსანიშნის საერთო ხასიათს. ენის ფაქტების შესწავლისას ადვილად შეგვიძლია დავრწმუნდეთ იმაში, რომ მიუხედავად სიტყვის ფორმალური და შინაარსობლივი მხარეების მყარი ერთიანობისა, მაინც არ არსებობს მათ შორის სრული პარარელიზმი, ე.წ. შესაბამისობა ერთისა მეორის მიმართ. ენობრივი ნიშნისა და მისივე გამოხატულ შინაარსობივ ოდენობას შორის დარღვეული პარარელიზმი ენათმეცნიერებაში ფორმულირებული იყო, როგორც ლინგვისტური ნიშნის ასიმეტრიული დუალიზმის პრინციპი. ამ პრინციპის მიხედვით აღმნიშვნელი მისწრაფვის, რომ გარდა თავისი ფუნქციისა ჰქონდეს სხვაც, აღსანიშნი კი იმისკენ მიილტვის, რომ გარდა საკუთარი ნიშნისა, გამოხატული იქნეს სხვა საშუალებითაც.

საერთოდ, ნომინაციას ენათმეცნიერები ორი კუთხით, ორი თვალსაზრისით განიხილავენ. განასხვავებენ ნომინაციის ორ სახეს - პირველადსა და მეორადს.

მეორადი ნომინაცია სომატური იდიომების გამოვლენის ერთ-ერთ მოდელად შეიძლება ჩაითვალოს. იგი განიხილავს პირველადის შედეგად მიღებული სიტყვისაგან თუ როგორ ხდება ახალი ელემენტების მიღება.

მეორადი ნომინაციის რამდენიმე სახეს განასხვავებენ. ძირითადად გამოყოფენ ოთხ ტიპს: აღწერითს, კომპოზიტს, სიტყვათწარმოებული სუფიქსებით წარმოებულს და მეტაფორულს.

მეტაფორა არსებითად წარმოადგენს ერთგვარ მოდელს, რომელიც ენაში ასრულებს ისეთივე ფუნქციას, როგორსაც სიტყვათწარმოებითი მოდელი. მაგრამ იგი შეფარულად მოქმედებს ენაში. მეტაფორული პროცესების ხასიათს განსაზღვრავს მისი სუბიექტის მიზანი. მეტაფორის შექმნა ორიენტირებულია არა ნომინაციაზე, არამედ იმ პრაგმატულ ეფექტზე, რომელსაც მეტაფორა იწვევს. მეტაფორის მოდელი საკმაოდ რთულია, რადგანაც იგი ქმნის სრულიად ახალ ენობრივ ობიექტებს. მაგალითად: სისხლის ალაზანი / *a blood bath*.

მეტაფორულ გამოთქმებში არეკლილია ხალხის ისტორიული, ეროვნული და სოციალური თავისებურებანი. მეტაფორები გადმოგვცემენ ერის ზნე-ჩვეულებებს, მათ ფიქრსა და მისწრაფებებს, კულტურასა და ისტორიას. შუა საუკუნეების მანძილზე ხალხში შექმნილ და ჩამოყალიბებულ მეტაფორებს შესატყვისი ეკვივალენტი მოეპოვებათ სხვადასხვა ენებში. მათ დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ეფექტი. ყოველი მოლაპარაკე, თუკი საქმე განვითარებული ტრადიციისა და ლიტერატურის მქონე ენას შეეხება, ინტუიტურად, მაგრამ მკვეთრად არჩევს განაგონის ან წაკითხულის ემოციურ ჟღერადობას.

მეტაფორებიხატოვანიენობრივისაშუალებებია, რომლებიცველანაში გვხვდება. მათი ხმარება, ისე როგორც სიტყვების შერჩევა, დამოკიდებულია

ი. რუსადე

ინდივიდუალური აზრის გამოხატვითი ენობრივი საშუალებები და შერჩეული ლექსიკური მასალა ძირითადი პირობაა სტილის განსაზღვრისათვის. კონტექსტთან დაკავშირებული კარგად მოძებნილი სიტყვა წინადადების აზრის სიცხადისა და სიზუსტესთან ერთად სტილისტურ ელფერს და ეფექტსაც მატებს. ცალკედ იზოლირებულად აღებული, კონტექსტისაგან მოწყვეტილი სიტყვა კი მოკლებულია ყოველგვარ ეფექტსა და სილამაზეს, ამასთან ხელს უშლის აზრის აღქმასა და დამახსოვრებას.

განვიხილოთ მეორადი ნომინაციის მეტაფორული ტიპი. ეს არის მეტაფორული წარმოშობის სიტყვები, რომლებიც იდიომატურ გამოთქმებს თავისებურ ესთეტიურ ელფერს მატებს. მეტაფორა არის აზროვნების ფორმა, რომელიც ვლინდება ყველგან. კერძოდ, ენაში, ხელოვნებაში, სადაც არსებობს ნიშანთა სისტემა. მეტაფორაც, თავისთავად ნიშანია. განსხვავება ჩვეულებრივ ნიშანსა და მეტაფორულ ნიშანს შორის ისაა, რომ ჩვეულებრივ ნიშანს აქვს ერთი აღმნიშვნელი და ერთი აღსანიშნი, ხოლო მეტაფორას აქვს ორი აღსანიშნი და ერთი აღმნიშვნელი.

ბერძნული განსაზღვრების თანახმად, მეტაფორა არის მხატვრული ეფექტის მომხდენი ფიგურა შექმნილი მნიშვნელობების გადატანით აშკარად ნახსენებიდან ნაგულისხმევზე. ანუ არის ერთ მოვლენაზე მითითება და მეორის გულისხმობა. თანამედროვე დაზუსტებით ესაა მნიშვნელობის 'გადანაცვლება', თანაარსებობა ერთ აღმნიშვნელთან ორი მნიშვნელობისა - 'პირდაპირისა' და 'გადატანითის', 'ცენტრალურის' და 'გვერდითის' (Bloomfield 1914: 159-164).

მეტაფორა არის სემანტიკური პარალელიზმის შემცველი ფორმა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამბობ ერთს და გულისმობ მეორეს, მაგრამ ნახსენებსაც ხედავ. სემანტიკური პარალელიზმის განხორციელება, ანუ მეტაფორის გაჩენა შეიძლება მოხდეს, როცა ამ სემანტიკური პარალელიზმის შემადგენელ ორივე მნიშვნელობას შორის, ორივე მოვლენის აღმნიშვნელს შორის არსებობს რაღაც საერთო ნიშანი სემა-მნიშვნელობის მცირე ელემენტი, რომელიც შეესადაგება თვით მოვლენის ნიშნებს. ესთეტიური ზემოქმედება მეტაფორის დროს უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვეულებრივ შემთხვევაში.

მაგალითად: 'ერთი მუჭა ხალხი' - ამ იდიომატურ გამონათქვამს მეტაფორის ესთეტიკური ზემოქმედება აშკარად ეტყობა. იდიომატურ გამონათქვამში იგულისხმება 'ცოტა ხალხი'. საერთო ნიშანი: 'ცოტა ხალხი' ჰქონდა თავისუფალი ნიშნები - ქუჩასთან, სოფელთან დაკავშირებული, რომელიც აღარ შერჩა, რადგან ეს თავისუფალი ნიშნები არ იყო მნიშვნელოვანი, ხოლო შემაკავშირებელი ნიშნები ძალიან ცხადად (ობიექტურობის მაღალი ხარისხით) ახასიათებდა მეორე, გადატანით მნიშვნელობას. ეს საერთო კანონზომიერებად გვესახება.

ცხადია, ობიექტურად მახასიათებელი ნიშანი მკვეთრად შემოდის ჩვენს ცნობიერებაში და თავისუფალ ნიშნებს, განსაკუთრებით უმნიშვნელო თავისუფალ ნიშნებს ჩრდილავს და უფრო მეტიც, თანდათან თავისუფალი ნიშნების განდევნის პროცესი მიმდინარეობს და შემდეგ სრულიად ქრება. ამგვარად, საბოლოოდ გვრჩება მყარი სომატური იდიომატური გამონათქვამი, რომელიც მეტაფორული ელფერით ხასიათდება. ასევე მყარი სომატური იდიომატური გამონათქვამი 'ვინმეს გულის ვარდი' მეტაფორულ ხასიათს იძენს. ეს აშკარად მნიშვნელობის გაორების შემცველი სომატური იდიომაა. მისი მნისვნელობა წარმოადგენს ნიშანთა (შინაარსთა) კომპლექსს, რომლებიც ახასიათებს მოვლენას რეალურად, რომ ვარდი ყვავილია და ადამიანთა მიერ აღიარებულია, რომ იგი ლამაზია. ასეთი ნიშნები ობიექტურია, მაგრამ ამავე დროს ასეთი ნიშნები შეიძლება აღიქმებოდეს ცალკეული სუბიექტის მიერ როგორც ნებისმიერი, მაქსიმალურად მოულოდნელი და ემყარებოდეს მარტო მთქმელისთვის გასაგებ ასოციაციას და მხოლოდ მისთვის იყოს ცხადი და დამაჯერებელი. ამ სომატური იდიომის მეტაფორული ხატოვანება აშკარა და თვალში საცემია. მისი ხატოვანი ხასიათი უდავოა და ამ ხატოვანების აღქმა სუბიექტურია და დიდად არის დამოკიდებული მსმენელის ან მკითხველის კულტურასა და განათლებაზე.

სომატურ იდიომებზე მეტაფორის ესთეტიური ეფექტიანობის ინტენსივობას განსაზღვრავს თავისუფალ ნიშანთა რაოდენობა და ის, თუ რამდენად აქტიურად ეძებს მსმენელი თავისუფალ ნიშნებს, რაც თავისთავად შემაკავშირებელი ნიშნის სიცხადეზე, ანუ ობიექტური მახასიათებლობის ხარისხზეა დამოკიდებული.

სამყაროს მეტაფორული აღქმა ადამიანის სუბიექტურ ასოციაციებზეა დამყარებული. მეტაფორიზაცია შედეგია ადამიანის უნარისა, შენიშნოს და დააფიქსიროს მსგავსება ონტოლოგიურად განსხვავებული კლასის საგნებსა და თუ მოვლენებს შორის და გააიგივოს ან შეაპირისპიროს ისინი ერთმანეთთან მაშინ, როდესაც ასეთი გაიგივებისა და შეპირისპირების ობიექტური საფუძველი არ არსებობს (Маслова 2004: 151-158).

მეტაფორის მექანიზმების მეშვეობით ენაში სახელდება რეალიისა და სახელის მისანიჭებელი რეალიის ზოგიერთი თვისების მსგავსების საფუძველზე ხორციელდება ახალი იდეალური ობიექტის სინთეზირება. ის ახალი იდეალური ობიექტი წარმოადგენს ამ სახელის მეტაფორულად ხელახლა გააზრებულ მნიშვნელობას ახალი, ფიზიკურად აღქმადი რეალიისა თუ მოვლენების დასახელების ან კიდევ გარკვეული ახალი ცნების შესაქმნელად თვით მისი მეტაფორული დასახელების მიზნით. მაგალითად, სომატური კომპონენტი „თავი“ გვხვდება შემდეგ ფრაზაში:

ი. რუსადე

ქალაქის თავი, ქართულ ენაში და head of government ინგლისურ ენაში, სადაც ახალმა რეალიებმა მხოლოდ სახელი მიიღეს.

ვინაიდან ენა არამარტოკომუნიკაციის საშუალება, არამედ ინფორმაციის შენახვის წყაროც არის, ამიტომ ენა აფიქსირებს პრაქტიკულად ყველაფერს, რასაც ხალხის ეროვნულ-კულტურული მემკვიდრეობა ჰქვია.

ამგვარად, მეორადი ნომინაციის მეტაფორულ ტიპს საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი როლი უჭირავს სომატურ იდიომებთან მიმართებაში, რომელსაც, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არასოდეს დაუკარგავს მისი ეფექტი. მეტაფორის შემეცნებითი და ლინგვისტური ასპექტების გათვალისწინებით უაღრესად მნიშვნელოვანია მისი როლი აზროვნებისა და კომუნიკაციის ჩამოყალიბებაში. მეორადი ნომინაცია მეტაფორულ გამონათქვამებში არის ხიდი აბსტაქტულსა და კონკრეტულს შორის, რაც ხელს უწყობს ენის სიმდიდრესა და სიღრმეს.

ლიტერატურა

გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ. 2003. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Bloomfield, L. 1914. *Sentence and Word*. New York: Henry Holt.

Humboldt, W. 1999. *The Heterogeneity of Language and its Influence on the Intellectual Development of Mankind*. Cambridge: Cambridge University Press.

Гак, В. Г. 1982. *Сопоставительная лексикология*. Ленинград.

Маслова, В.Л. 2004. *Когнитивная лингвистика: Учеб. пособие*, минск.

Language and Linguistics

Metaphoric Type Of The Secondary Nomination In Relation To Somatic Idioms

Irma Rusadze

irma.rusadze1@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.10>

This article deals with one type of the second nomination, such as metaphorical nomination and discusses how it is revealed in somatic idioms, which adds a special aesthetic colouring. Generally, the problem of nomination in linguistics was and is going to be the subject of great discussion. Nomination is directly connected with the changes which take place in idiomatic structure. This research paper delves into the intricate relationship between metaphoric expressions and somatic idioms, focusing specifically on the metaphoric type of the second nomination. Through an interdisciplinary approach that incorporates linguistic, cognitive, and cultural perspectives. Generally, two types of nomination are described in Linguistics - The first and the second nomination. The second nomination can be considered as a complete model to reveal the somatic idioms. It describes the new elements of the words formed from the first nomination.

Keywords: *the second nomination, somatic idioms metaphor, semantic parallelism.*

In the study of national self-consciousness, the research of the phraseological desire of the world is a priority, because it is a component of the ethnos' vision of the world, in the phraseological composition of the language, the facts of the nation's material and spiritual culture are fixed, and the moral, ethnic and aesthetic orientation of this or that society is reflected. Different types of phraseology have: a "multidimensional" structure, which, in addition to the conceptual basis, contains a socio-psychocultural part, which is understood and experienced by the speaker of the language, and which includes emotions, assessments, national features and connotations, which are characteristic of this or that culture (Маслова 2004). Phraseologisms occupy an important place in modern linguistics. Through them, it is possible to enrich the lexical fund of the language, as well as national and social features of the nation are reflected in these linguistic units, and the poetic spirit of the nation is revealed. Phraseologisms are symbolic linguistic means that convey the morals of the nation, their aspirations,

culture.

The idiom plays a big role in the classification within phraseology, which, as a special linguistic unit, represents the peak of phraseology with its properties. Idiom is more and more taking place in the phraseology of the language, although it is mostly used in relation to a certain type of phraseological units.

T. Gamkrelidze thoroughly explains the idiom and notes that: “Idioms or idiomatic expressions are similar in form to free utterances, but their lexical structure is meaningfully transformed.” They are characterized by a single (link) meaning, a lexeme-like synthetic function” (Gamkrelidze 2003: 376).

The term “idiom” comes from the Greek word *idioma*, which means “characteristic”. Currently, this term denotes one type of phraseological units - idioms, and the existence of somatic idioms in the language is one of the confirmations of this statement. *Soma* is a Greek word - which means body.

A living language is extremely rich, flexible, colorful and sonorous. Many words and expressions die, fade away, rest, and then come back again. In each idiom, the special vocabulary, phraseology, and artistic methods of depiction of this or that nation are clearly visible. Idiomatics is an organic and at the same time peculiar part of vocabulary.

Somatic idioms are the most striking, colorful and iconic part of the vocabulary of the language, they have different lexical load in this or that type of communication, so their correct use is very important, since the philosophy of language implies that the goal of any individual is to understand the other side and understand what is said.

The study of somatic idioms is closely related to the question of nomination, in particular, to study how concepts get their names. Different languages denote, divide and combine the reality of things in different ways. Each language has its own classification of the reality of things. People speaking one or another language have a different outlook, psychology and perception of the world. The world is the same for everyone, but people’s perception and cognition of this world is different and this peculiarity is primarily reflected in the language as a product of the nation’s creativity. As the language itself is the fixation of the perception of the world by the humans and not only the fixation, but the world is perceived through the language itself, because each nation lives in a world built by its own language (Humboldt).

Nomination in linguistics was and is going to be the subject of great discussion. Nomination is directly connected with the changes which take place in idiomatic structure.

A study of the nature and properties of nomination, i.e. the study of how

concepts get their names has been and continues to be relevant in linguistics.

This problem is relevant because in the process of research such important issues as the connection between the word and the material life of society, the connection between the word and human psychology are shed light. Their establishment and vitality in the language is completely determined by the structure of the language, the conditions of the material world, the general psychology of the nation.

V. Gaki distinguishes the following parts in the act of nomination: source, external structure, internal form and means of nomination.

According to the source of nomination, the following cases are confirmed in the languages: use of a ready-made unit (use of words with meanings), creation of a new lexical unit - borrowing from another language. According to the external structure, in the nomination, we should distinguish between simple words, complex words, complex words and word connections. The internal form of the word is considered to be the sign that formed the basis of the meaning of the word.

The fourth group of classification takes into account the common nature of the name and sign. When studying the facts of the language, we can easily make sure that, regardless of the solid unity of the formal and content parts of the word, there is still no complete parallelism between them, the so-called correspondence of one to the other. The broken parallelism between the linguistic sign and its expressed content amount was formulated in linguistics as the principle of asymmetric dualism of the linguistic sign. According to this principle, the signifier aspires to have something other than its own function, and the sign aspires to be expressed by other means besides its own sign.

Generally, two types of nomination are described in Linguistics - the first and the second nomination.

The second nomination can be considered as a complete model to reveal the somatic idioms. It describes the new elements of the words formed from the first nomination.

There are four types of the second nomination: descriptive, compound, formed by prefixes or suffixes and metaphoric.

A metaphor is essentially a kind of model that performs the same function as a word-formation model in language. But it works covertly in language. The nature of metaphorical processes is determined by the purpose of its subject. The creation of a metaphor is not focused on the nomination, but on the pragmatic effect that the metaphor causes. The metaphor model is quite complex because it creates completely new linguistic objects. For example: a blood bath.

o. ႵႵႵႵႵ

Metaphors convey the morals of a nation, their thoughts and aspirations, culture and history. Metaphors that have been created and developed among the people over the centuries have corresponding equivalents in different languages. They have not lost their effect even today.

Metaphors are figurative language devices found in all languages. Their use, like the choice of words, depends on the individual. Language means of expressing thought and selected lexical material are the main conditions for defining style. A well-chosen word in context adds stylistic nuance and effect to the sentence's clarity and precision. A word taken in isolation, separated from the context, is devoid of any effect and beauty, and at the same time prevents the perception and memorization of the meaning.

Let's discuss a metaphorical type of the second nomination. These are words of metaphorical origin, which add a special aesthetic colouring to the idiomatic expressions. Metaphor is a form of thinking that appears everywhere, in language, art, where there is a system of signs. Metaphor itself is a sign. The difference between an ordinary sign and a metaphorical sign is that an ordinary sign has one signifier and one signified, while a metaphor has two signifiers and one signified.

According to its Greek definition this is a stylistic device that mentions the event but it includes different meaning. Metaphor is a form containing semantic parallelism. This means that you say one thing and mean another, but you also see what is mentioned. The implementation of semantic parallelism, that is, the emergence of metaphor can occur when there is some common sign, a small element of sema, which corresponds to the signs of the event itself, between the two meanings that form this semantic parallelism between the signifiers of both events. The aesthetic impact in metaphor is stronger than in the usual case.

For example: "a handful people" - in this idiomatic expression we can clearly see the metaphoric influence. This idiomatic expression means - "few people", it has a common mark "few people" that had independent mark connected with - the street, village, but it has lost them, as these independent marks were not important and the linking marks were obvious. So, we get an idiomatic expression with metaphoric colouring. Also, the fixed idiomatic expression 'the rose of someone's heart' has a metaphorical character. This is clearly a somatic idiom with a double meaning. The metaphorical imagery of this somatic idiom is obvious. Its iconic character is indisputable and the perception of this iconicity is subjective and highly dependent on the culture and education of the listener or reader.

The intensity of the aesthetic effectiveness of the metaphor on somatic idioms is determined by the number of free signs and how actively the listener looks for

free signs, which in itself depends on the clarity of the connecting sign.

The metaphorical perception of the world is based on the subjective associations of a person. Metaphorization is the result of a person's ability to notice and record similarities between ontologically different classes of objects and events and equate or contrast them with each other when there is no objective basis for such equating and contrasting.

Through the mechanisms of metaphor, a new ideal object is synthesized based on the similarity of some properties of the reality named in the language and the reality to be named. That new ideal object is a metaphorically re-conceived meaning of this name to name a new, physically perceptible reality or event, or to create some new concept for the sake of metaphorically naming it. For example, the somatic component "head" is found in the following phrase: the head of the city, in the Georgian language, and the head of government in the English language, where the new realities received only a name.

Since language is not only a means of communication, but also a source of information storage, therefore language records practically everything that is called national-cultural heritage of people.

Thus, the metaphorical type of the secondary nomination has a rather interesting and important role in relation to somatic idioms, which, we dare say, has never lost its effect. Considering the cognitive and linguistic aspects of metaphor, its role in shaping thinking and communication is extremely important. The secondary nomination in metaphoric expressions serves as a bridge between the abstract and the concrete, contributing to the richness and depth of language.